

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
კერძო საჩივრის ავტორი: ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელი დირექტორის ნინო გუჯარაიძის

კერძო საჩივარი

გასაჩივრებული განჩინება: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 აპრილის განჩინება (საქმე #3/1620-14).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 აპრილის განჩინებით (საქმე #3/1620-14) ა(ა)იპ “მწვანე ალტერნატივა“-ს სარჩელზე მოპასუხეების: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს მთავრობის მიმართ - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე - სასკ-ის 22-ე-25-ე და 262.2 მუხლის თანახმად შეწყდა საქმის წარმოება დაუშვებლობის მოტივით. კერძოდ:

სასამართლომ გასაჩივრებული აქტების შინაარსისა და პროცესის მონაწილეთა მიერ სასამართლოსათვის მიცემული განმარტებების გათვალისწინებით დადასტურებულად მიიჩნია, ფაქტობრივი გარემოება მასზედ, რომ გასაჩივრებული აქტებით, მართალია, შპს “დMG GOLD“-ს მიეცა დადებითი დასკვნა საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე სამთო სამუშაოების განხორციელებისათვის, თუმცა კონკრეტულ ობიექტზე კომპანიას ამ აქტების საფუძველზე რაიმე სახის მოქმედება არ განუხორციელებია, ამასთან, მოპასუხე მხარისა და მესამე პირის განმარტებით სადავო აქტებით კომპანიას არც მომავალში წარმოეშობა აღნიშნულ ობიექტზე რაიმე სახის სამუშაოების ჩატარების უფლება.

სასამართლომ მიუთითა, რომ მმართველობითი ღონისძიების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით შეიცავდეს სზაკ-ის 2.1 მუხლის “დ” ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების ყველა ელემენტს. სასამართლომ საქმის მასალების ანალიზით მიიჩნია, რომ სადავო აქტების მოქმედება მკაცრად განსაზღვრული სამართლებრივი შედეგისაკენ არ არის მიმართული, აღნიშნული აქტები არ შეიცავს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნების აუცილებელ ელემენტებს (ანესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას) რამეთუ მათი მოქმედება არ იწვევს პირდაპირ სამართლებრივ შედეგს, ისინი დაინტერესებულ მხარე (“დMG GOLD“-ს) არ ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს და ამდენად, აღნიშნული აქტები არ შეიცავს სზაკ-ის 2.1 მუხლის “დ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული იასა-ს ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს. ამ კატეგორიის სარჩელზე დასაშვებობის აუცილებელ წინაპირობას კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობა წარმოადგენს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მოსაზრებით შეუძლებელია სადავო აქტები არა თუ პირდაპირ და უშუალო, არამედ

ზოგადად ზიანის მიყენების ან კანონიერი უფლების ან ინტერესისათვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას იძლეოდეს.

სასამართლომ კვლავ მიუთითა, რომ მოცემული სარჩელის დასაშვებობის საკითხის განხილვა – გადაწყვეტისას არსებითი მნიშვნელობა აქვს არა იმ გარემოებას დღეისათვის არქეოლოგიური ობიექტი არის თუ არა აღებული (დამლილი), არამედ იმას, რომ სადავო აქტების საფუძველზე შპს “RMG GOLD“-ს სამთო სამუშაოების განხორციელების მიზნით სამუშაოები არ განუხორციელებია და ამ აქტების საფუძველზე ვერც მომავალში განახორციელებს.

საქალაქო სასამართლოს მიერ წინამდებარე განჩინება გამოტანილია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393.2 მუხლის ა”, “ბ”, “გ” და 394-ე მუხლის “ე” პრიმა, 285-ე მუხლის “ე” ქვეპუნქტების დარღვევით. კერძოდ: სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, განჩინების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

1. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ: “ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის” ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვით, სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას... ყველას აქვს გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. აღნიშნული საერთაშორისო აქტით განმტკიცებული სამართლიანი სასამართლოს უფლება გულისხმობს სასამართლოს ვალდებულებას, დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პროცესის მონაწილეებისათვის, ისევე როგორც საზოგადოებისათვის, ნათელი უნდა იყოს განსჯის ის პროცესი, რომელიც სასამართლომ გაიარა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე. გადაწყვეტილებაში ასახული უნდა იყოს სასამართლოს მოსაზრებები და სამართლებრივი დასკვნები, რომლებმაც დავის სწორედ ამგვარი გადაწყვეტა გამოიწვია. სასამართლო დაცვის უფლების განხორციელება უნდა იყოს სრული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ყველას შესაძლებლობას მიმართოს სასამართლოს, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გამოიტანოს სამართლიანი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ეს მოთხოვნა მიზნად ისახავს მხარის მიერ გასაჩივრების უფლების განხორციელების შესაძლებლობის უზრუნველყოფას. იგივე უფლებები გამყარებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლით, რომელიც თავისი შინაარსით გულისხმობს არა მხოლოდ უფლების დასაცავად სასამართლოსათვის მიმართვის გარანტიას, არამედ სამართლიანი, გამჭვირვალე სასამართლოს უფლებას. გგასაჩივრებული განჩინებით დასტურდება, რომ სასამართლომ სარჩელის განხილვის ამ სტადიაზე (დასაშვებობის) სარჩელზე შეწყვიტა საქმის წარმოება იმ საფუძველზე, რომ გასაჩივრებული აქტები არ წარმოადგენენ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებს, ხოლო ამ კატეგორიის სარჩელზე დასაშვებობის აუცილებელ წინაპირობას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არსებობა წარმოადგენს. სასამართლომ იმიტომ, რომ მოცემული აქტების საფუძველზე დაინტერესებულ პირს რაიმე საქმიანობა არ განუხორციელებია და არც მომავალში არ განახორციელებს(მხარეს რაიმე

სარგებელი და უფლება არ მინიჭებია) არასწორად დაასკვნა, რომ გასაჩივრებული სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 06 მარტის #05/09/221 დასკვნა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 13 მარტის № 01/01-1227 გადაწყვეტილება - შპს RMG GOLD-სათვის სამთო საქმიანობის განხორციელების მიზნით დადებითი დასკვნის გაცემის შესახებ არ წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. რაც შეეხება საქართველოს მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 6 მაისის #15067 გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლოს (ამ სასარჩელო მოთხოვნის დასაშვებობა სადავოდ არ გამხდარა მხარეების მიერ) რაიმე სახის მსჯელობა ან დასკვნა წარმოდგენილი არ არის(იხ.სხდომის ოქმი), თუმცა გასაჩივრებული განჩინებით სარჩელზე მთლიანად შეწყდა წარმოება დაუშვებლობის გამო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ა(ა)იპ „მწვანე ალტერნატივა“-ს სარჩელთან დაკავშირებით ადგილი აქვს სასამართლოს მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებაზე უკანონოდ უარის თქმის ფაქტს, რითაც უხეშად დაირღვა `ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის~ ევროპული კონვენციის ფუძემდებლური დებულებები.

2. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა - „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 14.1 მუხლი, რომლის თანახმად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კარიერის დამუშავებაზე და სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების, ასევე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანო სამინისტროს დადებითი დასკვნის საფუძველზე. მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მსხვილმასშტაბიანი მიწის სამუშაოების განხორციელების უფლების მოპოვებისათვის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს სამინისტროს დადებითი დასკვნა ანუ აღნიშნული დადებითი დასკვნის სამართლებრივი შედეგია დაინტერესებული პირის მიერ მსხვილმასშტაბიანი მიწის სამუშაოების განხორციელების უფლების მოპოვება, მაშასადამე, აღნიშნული დადებითი დასკვნა თანახმად სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევის საფუძვლად მოქმედი ადმინისტრაციული კანონმდებლობა დაინტერესებული პირის მიერ მოპოვებული უფლების განხორციელების შესაძლებლობას არ უკავშირებს. აღნიშნული საფუძვლით მხოლოდ სასამართლოს მდიდარი ფანტაზიით იქნა მიჩნეული სრულიად უკანონოდ, რომ გასაჩივრებული აქტები არ წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.
3. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. კერძოდ: სასკ-ის 22-ე მუხლი, ვინაიდან სასამართლოს მიერ სამართლის ნორმების არასწორად გამოყენება ნიშნავს სასამართლოს მიერ ამ ნორმების გამოყენებლობას. კერძოდ: ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ძირითადი სამართლებრივი ფორმებია: ა)საჯარო-სამართლებრივი; ბ)კერძო-სამართლებრივი; საჯარო-სამართლებრივი ფორმები თავის მხრივ იყოფა:

ნორმათშემოქმედებად, ნების გამოვლენად (ადმინისტრაციული აქტი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება) და რეალურ მოქმედებად; ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაინტერესებული პირის განცხადებაზე ადმინისტრაციულმა ორგანომ ჩაატარა მარტივი ადმინისტრაციული წარმოება და გასცა დადებითი დასკვნა სამთო საქმიანობის განსახორციელებლად. შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ საქმიანობის სამართლებრივ ფორმად სამართალურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუმცა სასამართლომ უკანონოდ, არასწორად დადგინოთ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით დასაშვებობის სტადიაზე იმსჯელა გასაჩივრებული აქტების საფუძველზე განხორციელებულ მოქმედებებზე და მოპოვებული უფლების საფუძველზე სამთო სამუშაოების განუხორციელებლობის გამო წინამდებარე სარჩელზე უსაფუძვლოდ შეწყვიტა საქმის წარმოება.

გასაჩივრებული განჩინება მხარეს დადგენილი წესით ჩაბარდა 2015 წლის 30 ივნისს, შესაბამისად, კერძო საჩივარი წარმოდგენილია კანონით განსაზღვრული 12 დღიანი საპროცესო ვადის დაცვით 2015 წლის 13 ივლისს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ:

1. მიიღოთ წარმოებაში კერძო საჩივარი.
2. გააუქმოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 17 აპრილის განჩინება (საქმე #3/1620-14).
3. მოხდეს ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას სარჩელის განხილვა მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი: სულ „2“ ფურცელი

1. სახელმწიფო ბაჟის (50 ლარი) გადახდის ქვითარი.

კერძო საჩივრის ავტორი:

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას
აღმასრულებელი დირექტორი
ნინო გუჯარაიძე

13.07.2015წ.